

საქართველოს კანონი

“საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე”

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი 1984 წლის №12 მუხლი 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 165<sup>9</sup> მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“6. პირის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულების – ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წერილობითი მოთხოვნის შეუსრულებლობა, მისთვის შემოწმების ჩატარებაში ხელის შეშლა, კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარუდგენლობა ან/და არასწორი ან არასრული ინფორმაციის ან დოკუმენტის წარდგენა, -

გამოიწვევს მის დაჯარიმებას 1500 ლარამდე.”.

2. 209<sup>2</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 209<sup>2</sup>. საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულება – ფინანსური მონიტორინგის სამსახური

ამ კოდექსის 165<sup>4</sup>-165<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულებას – ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.”.

3. 239-ე მუხლის 26-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: -

“26. ამ კოდექსის 165<sup>4</sup>-165<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს ადგენს ფასიანი საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულება – ფინანსური მონიტორინგის სამსახური.”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულების შემდეგ.